თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 3

ქ.თერჯოლა 31 იანვარი 2023 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი, 9. შალვა ჭანკვეტაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. კახა ბუცხრიკიძე, 12. ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 **წევრი**
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 12
კვორუმი: 7 **წევრი**

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-2823030115, 30.01.2023 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282302516 , 25/01/2023).

   მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 1

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა არ შეცვლილა და შეადგენს 26731.5 ათას ლარს.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 125.0 ათასი ლარით. მერიის დაფინანსება შემცირდა 125.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 125.0 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 125.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2023 წლის 31 იანვრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი